# 2017 წელს მფრინავ ავტომობილს გამოუშვებენ (ვიდეო)

**სლოვაკური საავტომობილო ბრენდი AeroMobil 2017 წლისთვის გასაყიდად მფრინავ ავტომობილის გამოშვებას გეგმავს.**



მისი ფასი სავარაუდოდ 200 000 ევროზე ნაკლები არ იქნება. მანქანას სპორტკარისა და მსუბუქძრავიანი თვითმფრინავის ტექნოლოგიურ ბაზაზე დაამზადებენ, მას ბენზინზე მომუშავე 100 ცხენის ძალის ძრავა Rotax 192 ექნება. ტრასაზე მანქანა 160 კმ/ს განავითარებს, ხოლო ასაფრენად მხოლოდ 300 მეტრიანი სწორი მონაკვეთი დასჭირდება.

საწვავს მფრინავი ავტომობილი ბევრს არ მოიხმარს – 10 კილომეტრზე მხოლოდ 15 ლიტრი არის საჭირო. ხოლო ფრენის სიშორე 7000 კილომეტრს შეადგენს. მფრინავი ავტომობილის სამართავად არა მხოლოდ ავტომობილის მართვის მოწმობა, არამედ პილოტის ლიცენზიაც იქნება საჭირო.